



ჯეო•GEO

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯეო“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6-14

შპს „ჯეო“ - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

ფინანსური მდგომარეობა (ლარში)	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	466,451	742,234
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	2,612,580	2,105,065
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		1,625,068	1,580,044
მარაგები	3	5,336,414	4,155,624
სხვა მოკლევადიანი აქტივები		235,459	264,082
სხვა არამატერიალური აქტივები	4	3,865	3,865
ძირითადი საშუალებები	4	1,002,751	874,863
სულ აქტივები		11,282,588	9,725,777
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		282,168	121,815
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		24,942	897,569
სულ ვალდებულებები		307,110	1,019,384
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		10,975,278	8,706,193
სულ საკუთარი კაპიტალი		10,975,478	8,706,393
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,282,588	9,725,777

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მუხრან გაგნიძე

ცირა მოდებაძე

შპს „ჯეო“ - სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

საქმიანობის შედეგები (ლარში)	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან		14,469,295	12,275,325
გაყიდვების თვითღირებულება	5	-9,377,221	-8,566,393
საერთო მოგება		5,092,074	3,708,932
დასაქმებულთა ანაზღაურება		-864,735	-715,603
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი		-74,208	-67,241
საპროცენტო შემოსავალი		1,572	209
საპროცენტო ხარჯი		-29,875	-59,911
იჯარის ხარჯი		-130,748	-131,438
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	-1,229,208	-902,292
სულ საოპერაციო ხარჯები		-2,327,202	-1,876,276
საოპერაციო მოგება		2,764,872	1,832,656
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		53,371	177,286
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2,818,243	2,009,942
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		2,818,243	2,009,942
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		2,818,243	2,009,942
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		8,706,393	7,159,093
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-549,158	-462,642
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		10,975,478	8,706,393
დირექტორი		მთ. ბუღალტერი	
მუხრან გაგნიძე		ცირა მოდებაძე	

შპს „ჯეო“ - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	200	8,706,193	8,706,393
წმინდა მოგება		2,818,243	2,818,243
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2,818,243	2,818,243
გაცემული დივიდენდი	-	-549,158	-549,158
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	200	10,975,278	10,975,478

დირექტორი

მუხრან გაგნიძე

მთ. ბუღალტერი

ცირა მოდებაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206204204. კომპანია 2005 16 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ვარკეთილის IV მ/რ, III კვარტ., კორპ. 13, ბ. 65.

- ფაქტიური მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქუჩა 7.
- საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო საქონლის და სუნელ-სანელებლების იმპორტი, წარმოება შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
- კომპანიის 50% - 50% წილის მფლობელები და კომპანიის დირექტორები მუხრან გაგნიძე და მურმან კაპანაძე.
- კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 200 ლარს.

შპს „ჯეო“-ს ცენტრალურ ოფისში - თბილისში გააჩნია დიდი სასაწყობო მეურნეობა და სუნელების გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოო დანადგარები, აგრეთვე საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები. კომპანიას ათეულ წელზე მეტია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თელავი, ქუთაისი, ბათუმი) გააჩნია ტერიტორიული სტრუქტურული ერთეულები (საწყობი), საიდანაც ხდება პროდუქციის რეალიზაცია. კომპანიაში დასაქმებულია 50-ზე მეტი გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2022 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3.5040

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინთა განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

მიწა	უვალო
შენობა ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	7
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
სატრანსპორტო საშუალებები	7

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შპს „ჯეო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

შენიშვნა 1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	67,975	350,628
ფული საბანკო ანგარიშებზე	398,476	391,606
სულ ჯამი	466,451	742,234

შენიშვნა 2 - სავაჭრო მოთხოვნები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან	2,589,491	2,081,976
სხვა მოთხოვნები	23,089	23,089
სულ ჯამი	2,612,580	2,105,065

შენიშვნა 3 - მარაგები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	4,924,841	3,861,138
სხვა	411,573	294,486
სულ ჯამი	5,336,414	4,155,624

შპს „ჯეო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

ლარში	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	130,927	519,465	269,148	73,489	67,972	311,652	45,780	3,865	1,422,298
დაგროვილი ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	94,522	149,842	51,167	42,173	205,866	-	-	543,570
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	130,927	424,943	119,306	22,322	25,799	105,786	45,780	3,865	878,728
მიმდინარე წლის დამატებები	-	-	108,676	-	8,875	84,546	-	-	202,097
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	-	32,249	6,213	7,984	27,762	-	-	74,208
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	130,927	519,465	377,824	73,489	76,847	396,198	45,780	3,865	1,624,395
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	94,522	182,091	57,380	50,157	233,628	-	-	617,778
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	130,927	424,943	195,733	16,109	26,690	162,570	45,780	3,865	1,006,617

შპს „ჯეო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

შენიშვნა 5 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2022 წლის	2021 წლის
მზა პროდუქცია , ნედლეული და მასალები	9,165,137	8,392,842
საწარმოო ხელფასი	212,084	173,551
ჯამი	9,377,221	8,566,393

შენიშვნა 6 - ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ლარი	2022 წლის	2021 წლის
არაპირდაპირი ხელფასი	25,967	2,041
სხვა საოპერაციო ხარჯები	34,813	76,384
რეკლამის ხარჯები	-	5,724
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	1,350
სატერმინალო მომსახურება	507	-
ა/მანქანის რემონტი	33,978	20,673
მივლინების ხარჯი	910	100
პროდუქციის სერტიფიცირება	17,467	15,850
საკასო აპარატის ტექნ. მომსახ-ბა	3,440	2,822
კომუნალური ხარჯი	27,858	22,464
საკანცელარიო ხარჯი	3,186	2,495
ინტერნეტ მომსახურება	4,087	3,186
კომუნიკაციის ხარჯები	15,117	15,020
გზავნილების ხარჯი	1,033	1,948
მარკეტინგული მომსახურება	810,735	562,309
დაზღვევა	18,928	14,111
ოფისის რემონტი	5,383	3,867
შრომითი უსაფრთხოება	4,200	4,290
შტრიხკოდების დამზადება	237	1,156
საწევრო გადასახადი	2,840	2,480
კომპიუტერის ხარჯები	2,295	2,019
ტექინსპექტირების ხარჯი	30	164
პარკირების ხარჯი	255	295
ტექმომსახურების ხარჯი	947	3,909
სამეურნეო ხარჯი	109,998	33,530
საკონსულტაციო ხარჯები	35,956	37,465
მიკრობიოლოგიური ტესტირება	-	1,512
საწყობების დეზინფექცია	2,198	1,368
ბანკის საკომისიო	23,004	26,394
პოლიმერული საბეჭდი ფორმის მომსახურება	20,341	16,232
სხვა საგადასახადო ხარჯი	12,804	9,715
1000 ლარამდე მ/ს-ბა	304	169
სხვა საერთო ხარჯი	10,390	11,250
სულ	1,229,208	902,292

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი

მთ. ბულალტერი

მუხრან გაგნიძე

ცირა მოდებაძე